ეთიკის კომისიის

ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 25.09.2015

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 018/15

შეკითხვა:

ადვოკატი მოქმედებს, როგორც თბილისის მერიის მიერ დაფინანსებული ერთ-ერთი არაკომერციული იურიდიული პირის წარმომადგენელი. ადვოკატს სურს, ამავდროულად, წარმოადგინოს თბილისის მერიის ტენდერში გამარჯვებული არაკომერციული იურიდიული პირი (აიპ). ხომ არ დაარღვევს ადვოკატი ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპს? ამ ეტაპზე, არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის საფრთხე.

ანალიზი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლი:

1. ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე.

2. ინტერესთა კონფლიქტი არსებობს იმ შემთხვევებშიც, როდესაც:

ა) ადვოკატის ვალდებულებები ორი ან მეტი კლიენტის წარმომადგენლობისას ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეში ურთიერთსაწინააღმდეგოა ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე.

ბ) კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედების ვალდებულება ეწინააღმდეგება, ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე ამ ადვოკატის ან მასთან დაკავშირებული პირის ინტერესებთან.

3. ერთ საადვოკატო ბიუროში (ოფისში, კანტორაში, იურიდიულ ფირმაში და ა.შ.) მომუშავე ადვოკატებს უფლება არა აქვთ მისცენ პროფესიული რჩევა ან წარმოადგინონ რამდენიმე პირი (კლიენტი) ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნულ კლიენტებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე.

4. ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა ვრცელდება იმ შემთხვევებზეც, როდესაც ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის საფრთხე წარმოიშობა საქმის წარმოების პროცესში.

5. ადვოკატი ვალდებულია შეწყვიტოს ყველა კლიენტის საქმის წარმოება, რომელთა ინტერესებსაც იგი წარმოადგენდა, თუკი კლიენტებს შორის წარმოიქმნა ინტერესთა კონფლიქტი მოცემულ ან დაკავშირებულ საქმეზე და არსებობს ადვოკატის მიმართ ნდობის დარღვევის და/ან კონფიდენციალობის ხელყოფის საფრთხე.

საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ ინტერესთა კონფლიქტის ერთ-ერთ შემთხვევას წარმოადგენს ადვოკატის მიერ ერთ საქმეში რამდენიმე კლიენტის წარმომადგენლობა, თუ აღნიშნული კლიენტების ინტერესები ერთმანეთს არ შეესაბამება.

ეთიკის კომისიამ 2011 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებით, დისციპლინურ საქმეზე №015/10 მიუთითა: „კლიენტის ინტერესების დაცვისას თავი უნდა აარიდოს ინტერესთა კონფლიქტის 3 შემთხვევებს და კლიენტის წარმომადგენლობა უნდა განახორციელოს იმგვარად, როგორც კლიენტი იმოქმედებდა საკუთარი ინტერესებისათვის შესაბამისი ცოდნის და დროის არსებობის შემთხვევაში. კლიენტის ინტერესებს შორის კონფლიქტი არსებობს, თუ ადვოკატის მიერ ერთ-ერთი კლიენტისათვის მიცემული რჩევა ან განხორციელებული წარმომადგენლობა ზიანს აყენებს სხვა კლიენტის ინტერესს.“

მოცემულ შემთხვევაში, სავარაუდოდ, აღნიშნულ ორ აიპ-ს შორის არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის საფრთხე. შეკითხვაში მითითებული გარემოებებიდან გამომდინარე, მერიის მიერ დაფინანსებულ არაკომერციულ იურიდიულ პირებს უნდა გააჩნდეთ საერთო ინტერესი, ვინაიდან მოქმედებენ თბილისის მერიის საერთო ინტერესების შესაბამისად.

ადვოკატმა, კონკრეტულად, მისი წარმოებული საქმიდან გამომდინარე უნდა შეაფასოს არსებობს თუ არა მის ორ წარმოდგენილ პირს შორის ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე და, მისი არსებობის შემთხვევაში, მიიღოს სათანადო ზომები. ასევე, წინასწარ გააფრთხილოს მისი კლიენტები შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში მისაღები ზომების შესახებ.

დასკვნა:

თუ ადვოკატი მოქმედებს, როგორც თბილისის მერიის მიერ დაფინანსებული ერთ-ერთი არაკომერციული იურიდიული პირის წარმომადგენელი და, ადვოკატს სურს, ამავდროულად, წარმოადგინოს თბილისის მერიის ტენდერში გამარჯვებული არაკომერციული იურიდიული

პირი, იგი, სავარაუდოდ, არ დაარღვევს ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპს, ვინაიდან აღნიშნულ აიპ-ებს შორის, შეკითხვაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის საფრთხე. სასურველია, ადვოკატმა, წინასწარ გააფრთხილოს მისი კლიენტები შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში მისაღები ზომების შესახებ.

რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ რომელიმე დისციპლინური საქმის განხილვისას. თუმცა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ერთ-ერთ წყაროდ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში.